დამტკიცებულია

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმინდა თამარ მეფის სახელობის
უნივერსიტეტის რექტორის
#01/1/16, 14.05.2021 ბრძანებით

საქართველოს საპატრიარქოს
წმინდა თამარ მეფის
სახელობის უნივერსიტეტი

ხელოვნების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება: ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია)

Ph.D. Programin **Art History**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: 0213.1.5 ხელოვნების ისტორიის და თეორიის დოქტორი
(PhD in Art History and Theory)

პროგრამის ხელმძღვანელი: ნინო ქავთარია, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერისტეტის პროფესორი

პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული:

ხელოვნების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით და

ხანგრძლივობა: მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არანაკლებ 50კრედიტის და კვლევითი კომპონენტის შესრულების შემთხვევაში. სწავლება არანაკლებ 3 წელი(დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში, 5 წელი)

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ხელოვნებათმცოდნეობის (ხელოვნების ისტორიის) სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

ა)მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობაში, ხელოვნების, განათლების, სამართლის, საბუნებისმეტყველო, სოციალურ, ჰუმანიტარულ და მიმართულებათშორის მეცნიერებებში.

ბ) გამოცდა ინგლისურ ენაში-B2 დონე. უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების დიპლომს, შესაბამისი უცხო ენის სპეციალობით, ან შესაბამისი პროფილის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებული გამოცდის დამადასტურებელ მოწმობას (არანაკლებ B2 დონე) ან უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერთიფიკატს (TOEFL PBT, TOEFL IBT, IELTS ან Cambridge Exam); ცალკეულ შემთხვევაში, კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი უფლებას იტოვებს მოითხოვოს დამატებით რომელიმე უცხო ენის ცოდნა.

გ)დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება წარმოადგინოს პროგრამის შესაბამის სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომი (მცირე კვლევა/პუბლიკაცია/სამაგისტრო ნაშრომი ან სხვა) - ასეთის არსებობის შემთხვევაში; ასევე, მან წინასწარ უნდა გაიაროს კონსულტაცია პროგრამის ხელმძღვანელთან/სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელთან და წარმოადგინოს ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა მისი კვლევითი ინტერესების, მიმართულების პროგრამასთან შესაბამისობის შესახებ.

დ) გასაუბრება სპეციალობაში (ხელოვნების ისტორია), რომლისთვისაც აუცილებელია აპლიკანტმა წრმოადგინოს თავისი სამეცნიერო ინტერესების შესაბამის სამეცნიერო პროექტის რეზიუმე.

სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის. უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების, სწავლისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი განისაზღვრება საქართველოს ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და მისი რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით. შესაძლებელია საშ. 5–6 დოქტორანტის მიღება.

პროგრამის მიზანი

წინამდებარე სადოქტორო პროგრამის მიზანია ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში მოამზადოს, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი, მაღალკვალიფიციური ხელოვნებათმცოდნე-მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებელად სამეცნიერო კვლევების ჩატარებას და სწავლებას უმაღლეს სასწავლებლებში. პროგრამას აქვს კონკრეტული მიზანი: კვლევები განახორციელოს **შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების სფეროში**, ქართული მასალის საფუძველზე წამოწიოს პრობლემური, შეუსწავლელი საკითხები და განხილოს ის სხვადასხვა კონტქსტში. პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ხელოვნებათმცოდნე (ხელოვნების ისტორიკოსი), რომელიც საფუძვლიანად ფლობს ხელოვნების ისტორიის დარგში დაგროვილ ცოდნასა და კვლევის მეთოდებს; რომელსაც ექნება უნარი დამოუკიდებლად ჩაატაროს კვლევა, ღრმად გაიაზროს, კრიტიკულად მიუდგეს არსებულ იდეებს, გაანალიზოს ახალი მასალა, გამოიტანოს ლოგიკური, დასაბუთებული დასკვნები და ხელოვნების ისტორიის სფეროში შექმნას ახალი ცოდნა, რომელსაც ექნება არა მხოლოდ ლოკალური, ადგილობრივი მნიშვნელობა, არამედ თავის წვლილს შეიტანს ხელოვნებათმცოდნეობით მეცნიერებების განვითარებაში.

პროგრამა გამიზნულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შუა საუკუნეების ეროვნული ისტორიული სახელოვნებო პროცესების კვლევას და მის გააზრებას საერთაშორისო კონტექსტში და სადისერტაციო ნაშრომების სახით შექმნას ახალი ცოდნა მოცემულ სფეროში. დარგში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ახალგაზრდა მკვლევარების განსაკუთრებული

დეფიციტი იგრძნობა შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების კონკრეტული დარგების - ხელნაწერი წიგნის მხატვრობის, ქართული ორქომჭედლობის სფეროში. არა და ამ დარგებმა დიდი რაოდენობით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი დაგვიტოვა, რომლებიც შეუსწავლელია და ელოდება თავის მკვლევარს. წინამდებარე პროგრამის ერთ-ერთი ამოცანაა წაახალისოს და ხელი შეუწყოს დოქტორანტებს ამ მიმართულებით კვლევებს წარმოებაში, რისი გარანტიაცაა პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ქართული ხელოვნების ისტორია გვიჩვენებს საუკუნიდან საუკუნეში გარდამავალ, მყარ მხატვრულ ფორმებს, რაც აერთიანებს ყველა დროისა და ეპოქის ქართულ ხელოვნებას და განაპირობებს მის განსაზღვრულ ადგილს მსოფლიო კულტურაში. სადოქტორო პროგრამის განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობის სიღრმისეულ შეცნობას, დაცვა-შენარჩუნებას და მისი მთელი სისავსით წარმოჩენას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საუნივერსიტეტო წიაღში ხელოვნებათმცოდნე-მკვლევართა მომზადების მნიშვნელობა ნათელია. სადოქტორო პროგრამას ხელოვნების ისტორიაში ზოგადკულტურულთან ერთად, ეროვნული იდენტობის კუთხით აქვს არსებითი მნიშვნელობა. ამ კონტექსტითაც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მიზანმიმართული კვლევები პასუხობს თანამედროვეობის პრობლემურ გამოწვევებს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა

პროგრამის შინარსი და სტრუქტურა განისაზღვრება სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების ბალანსით.პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან: პირველ სემესტრებში პროგრამა უფრო მეტად დატვირთულია სასწავლო კომპონენტით, შემდგომი სემესტრების განმავლობაში თანდათან მატულობს სამეცნიერო ნაწილი, რომელიც ასევე ითვალისწინებს კვლევის თანმიმდევრული წარმოების შესაძლებლობას და კომპონენტებს შორის ლოგიკურ კავშირზეა აგებული;ყოველივე სემესტრების მიხედვით გაწერილია პროგრამაზე დართულ ბადეში.

კვლევის სფეროსთან დაკავშირებული სასწავლო კომპონენტი მოიცავს ძირითად სემინარებს და სასწავლო კურსებს, რომლებიც ემსახურება ერთი მხრივ, საკვლევ სფეროში ჩაღრმავებას, არსებული გამოკვლევების საფუძვლიანი შესწავლის გზით, მეორე მხრივ, კვლევის და სწავლების თანამედროვე მეთოდების ათვისებას, სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების დაგროვებას. სავალებულო

კურსებისა და სემინარების გარდა, არსებული არჩევითი კურსების ბლოკი საშუალებს იძლევა, ინტერესის შესაბამისად, შეადგინოს დოქტორანტმა თავისი ინდივიდულური გეგმა.

სამეცნიერო კომპონენტი, საკვლევი თემატიკა და ამოცანები განსაზღვრულია. საკვლევი თემატიკა შესაძლებელია შერჩეულ იქნეს ხელოვნების სხვადასხვა სფეროების (არქიტექტურა, რელიეფები, მხატვრობა, ოქრომჭედლობა) შესწავლის მიმარულებით, სადისერტაციო თემა შემოიფარგლოს როგორც კონკრეტული დარგით ანდა კონკრეტული ძეგლებით, ისე რომელიმე სამეცნიერო პრობლემით, რომელიც სხვადასხვა სფეროთა კვლევას გულისხმობს და მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომას, ერთი კულტურის შიგნით სხვადასხვა სფეროების კავშირის რაგვარობის დადგენას. სხვა საკვლევი თემები შეიძლება გახდეს: დღემდე შეუსწავლელი კონკრეტული ძეგლი ან ძეგლების ჯგუფი; საქართველოში შემოსული ბიზანტიური, ისლამური, ევროპული და ა. შ. მხატვრული ტენდენციების ტრანსფორმირების და გავლენის საკითხები, ქართული ხელოვნების სხვა ქვეყნებსა და კულტურულ წრეებზე ზემოქმედების საკითხები. გარდა ზემოჩამოთვლილი ძირითადი პრობლემატიკისა, დოქტორანტს ხელოვნების ისტორიასთან დაკავშირებული სხვა კონკრეტული საკითხების შესწავლისა და კვლევის შესაძლებლობა ექნება.

კვლევის მეთოდოლოგია ძირითადად კომპარატივისტული, ხელოვნებათმცონეობითი ანალიზის მეთოდით განისაზღვრება, მაგრამ ყოველი კონკრეტული თემის კვლევის მეთოდი ინდივულურად იქნება შეჩეული, საკვლევი პრობლემატიკიდან გამომდინარე. სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს ინტერდისციპლინარულ კვლევებსაც შესაბამისი დარგების მკვლევართა კონსულტანტად/თანახელმძღვანელად ჩართვის შესაძლებლობით. თუმცა ცალკე კვლევის საგანი შეიძლება გახდეს თვით ხელოვნების კვლევების მეთოდოლოგია და ისტორიოგრაფია.

პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა შეუქმნას დოქტორანტს პირობები, რათა ხელოვნების ისტორიის და დარგის ძირითადი იდეები საფუძვლიანად გაიაზროს და გაითავისოს, ამით ჩვენ შევინარჩუნებთ ხელოვნებათმცოდნეობის დარგში ცოდნის უწყვეტობას, სიცოცხლისუნარიანობას; პროგრამით დასახული მიზნების განხორციელების გზაზე მორიგი ამოცანაა მომავალი დოქტორის მიერ გააზრება იმისა, თუ როგორ თავსდება ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების სფერო საერთო ინტელექტუალურ სივრცეში. დოქტორანრურაში სწავლის და კვლევის პროცესი მიმართული უნდა იყოს თანამშრომლობის უნარის განვითარებაზეც: დოქტორმა უნდა იცოდეს, როგორ ითანამშრომლოს მონათესავე ჰუმანიტარული, სოციალური და სხვა დარგების სპეციალისტებთან ინტერდისციპლინარული კვლევის დროს.

პროგრამის შემდეგი ამოცანაა განუვითაროს დოქტორანტს ცოდნის ტრანსფორმირების უნარი. მას უნდა შეეძლოს მასალის გასაგები ფორმით პრეზენტირება, ცოდნის გადაცემა, სწავლება. მას უნდა შეეძლოს ცოდნის მიწოდება ყველა დაინტერესებული პირისათვის: ნებისმიერ დონეზე (პროფესიული წრე, ფართო საზოგადოება).

პროგრამის აქტუალობა და მნიშვნელობა განპირობებულია მისი მიზნით- წინ წამოწიოს ისეთი საკითხების გამოკვლევა, რომლებიც ქართულ ხელოვნებას დაგვანახებს, როგორც მსოფლიო ხელოვნების ნაწილს, აჩვენებს მისი კავშირ-ურთიერთობების რაგვარობას სხვა ხალხების ხელოვნებასთან, ქართული ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მიმდინარე პროცესებს განიხილავს მსოფლიო მხატვრულ მოვლენებთან მიმართებით, საერთაშორისო კონტექსტში და ამ გზით შექმნის ახალ ცოდნას ხელოვნების ისტორიის სფეროში.

ამრიგად, პროგრამის შინაარსი პასუხობს მის მიზანს - განახორციელოს ფუნდამენტური კვლევები, რომელიც წვლილს შეიტანს მეცნიერულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებაში რეგიონულ, ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე. პროგრამის საფუძველზე მომზადებული კადრები თავის წვლილს შეიტანენ, როგორც ეროვნული კულტურის დაცვა-განვითარების, ისე მსოფლიო კულტურული ღირებულებების და ხელოვნების ნაწარმოებთა კვლევებში; ხელსშეუწყობენ საზოგადოებაში ახალი სახელოვნებო ღირებულებების, ინოვაციებსა დამკვიდრებას და ინტეგრაციას.

სწავლება-სწავლის მეთოდები

სადოქტორო პროგრამის სასწავლო მეთოდოლოგია გულისხმობს სწავლების სხვადასხვა მეთოდთა გამოყენებას. პრიორიტეტი ენიჭება ინტენსიურ სასემინარო სწავლებასა და პრაქტიკა-ასისტენტირებას. სწავლებისას, როცა ეს საჭიროა, შესაძლებელია გამოვიყენოთ მეთოდთა შერწყმის გზა. განსაკუთრებით ეს ეხება სწავლების ინდუქციურ და დედუქციურ მეთოდებს, რომელთა სინთეზირება კონკრეტული დისციპლინის ფარგლებშიც შესაძლებელია განხორციელდეს. სწავლების პროცესში, სილაბუსით განსაზღვრული სასემინარო თემატიკა და ამოცანა, პედაგოგის ხელმძღვანელობით, შესაძლებელია განვითარდეს როგორც კერძო ფაქტების განზოგადებისკენ, ისე თავდაპირველად ზოგადი მახასიათებლის გამოკვეთასა და შემდგომ კონკრეტული გამოვლინებების შესწავლისკენ. დედუქციური მეთოდი განსაკუთრებით მისაღებია სასემინარო მუშაობისას, როდესაც უკვე მის

განკარგულებაში არსებულ ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით დოქტორანტი ახალ, გაღრმავებულ ცოდნას იძენს კონკრეტული მიმართულებით.

რამდენიმე დოქტორანტის არსებობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება ჯგუფური მუშაობის მეთოდიც. ერთობლივი დავალებების შესრულება, ფუნქციების გადანაწილება, დოქტორანტებს ჯგუფური მუშაობის უნარს განუვითარებთ.

სწავლების სხვა მეთოდთაგან ვიყენებთ ანალიზისა და ახსნა-განმარტების მეთოდებს. ამათგან ანალიზის მეთოდი გამოიყენება კონკრეტული დავალებების შესრულებისას, ხოლო ახსნა-განმარტებითი მეთოდის გამოყენება გულისხმობს საკითხის ირგვლივ სემინარებზე მსჯელობას, მოცემული თემის ფარგლებში კონკრეტული მაგალითის დაწვრილებით განხილვას.

სწავლების მეთოდოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, რომლის წილიც ძირითადად ასისტენტირების პროცესზე მოდის. სტუდენტს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალება ეძლევა. ასისტენტირება ავითარებს აუცილებელ უნარებს: სტუდენტთან ურთიერთობის უნარს, ცოდნის ტრანსფორმირების უნარს, მასალის პრეზენტირების უნარს, ცოდნის გადაცემასა და ა. შ.

სასწავლო პროცესი, რომელიც სემესტრებადაა დაყოფილი, პირველი სემესტრიდანვე ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევისთვის აუცილებელ სამუშაოსაც: ყოველი სემესტრის შემდეგ კვლევითი ნაშრომის გარკვეული ეტაპის ამსახველი მასალის ან კონკრეტული საკითხის კვლევაა წარმოსადგენი. თავად კვლევის მეთოდოლოგია შერჩეული იქნება კონკრეტული საკვლევი თემიდან გამომდინარე.პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

სწავლის შედეგი

სადოქტორო პროგრამის სრული კურსის დასრულების და დისერტაციის დაცვის შემდეგექნება შემდეგი შედეგი:

- მივიღებთ ნაშრომს, რომელიც იქნება ახალი გამოკვლევა, რომელიც ახალ ცოდნას შეიტანს ხელოვნებათმცოდნეობაში;
- დოქტორანტი მოიპოვებს აკადემიურ ხარისხს – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი დარგობრივი კომპეტენციები:

- დოქტორს ექნება უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული საფუძვლიანი, ღრმა და სისტემური ცოდნა ხელოვნების ისტორიაში, სამომავლო საკვლევი პრობლემატიკის გლობალური ხედვა;
- მას ექნება ხელოვნებაში მიმდინარე ისტორიული პროცესების კვლევისა და გაანალიზების უნარი;
- ის ღრმად გააცნობიერებს ხელოვნების არსს, კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას და შეძლებს მოძებნოს სათანადო გზები და მეთოდები ცოდნის გადასაცემად.
- დოქტორი შეძლებს ქართული ხელოვნების გააზრებას მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში, კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის არსში ჩაწვდომას, კავშირების დადგენას სხვადასხვა ხალხთა ხელოვნებათა შორის. მათ განხილვას, საერთო ისტორიული და კულტურული მიმართებით, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს ინტერდისციპლინალურ ანალიზს.
- ხელოვნების თეორიისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდების ფლობა საშუალებას მისცემს მას იმუშაოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე; ის არჩევს მეთოდოლოგიას და ახდენს შეუსწავლელი ხელოვნების ნაწარმოების დათარიღებას, მხატვრული და ისტორიული ადგილის განსაზღვრას, შეფასებას.
- ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი შეძლებს გამოიყენოს ცოდნა პრაქტიკაში: ერთი მხრივ, გადასცეს ცოდნა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში სვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე მყოფ სტუდენტებს. მეორე მხრივ,სამეცნიერო-კვლევით სფეროში საქმიანობისას ანალიტიკურად მიუდგეს პრობლემას, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს კვლევითი პროექტი, ასევე ზედამხედველობა გაუწიოს კვლევის მსვლელობას; აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით მას შეეძლება შექმნას ახალი ცოდნა, რაც აისახება მის სამეცნიერო პუბლიკაციებში.
- დოქტორს შეეძლება განახორციელოს ცალკე აღებული ხელოვნების ძეგლის ან ძეგლთა ჯგუფის მრავალმხრივი შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში არგუმენტირებული დათარიღება, საერთო ისტორიულ კონტექსტში განხილვა და ხელოვნების ისტორიაში ადგილის მიჩენა. მას შეუძლია განახორციელოს სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ან სამუზეუმო კოლექციის კვალიფიციური ექსპერტიზა.
- მას ექნება არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი მაშინაც კი, თუ მონაცემები რთული, არასრული და წინააღმდეგობრივია. ამ პროცესში ის შეძლებს გამოიყენოს ახალი მიდგომები, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსები და დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება.
- ხელოვნების ისტორიისა და მისი კონკრეტული სფეროს საფუძლიანი ცოდნა და კვლევის უნარი საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს შეაფასოს და გააკრიტიკოს არსებული ინფორმაცია, ასევე, დაიცვას მოპოვებული ცოდნა, ლოგიკურად დაასაბუთოს დასკვნები. ყოველივე მოგვცემს სპეციალისტს, რომელსაც ექნება კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისა და სამომავლო პროექტების განვითარებას უნარი.

• ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს შეეძლება ხელოვნების ისტორიის სფეროში არსებული ცოდნა და ძირითადი იდეები საფუძვლიანად გაიაზროს და გაითავისოს, ამით ჩვენ შევინარჩუნებთ ხელოვნებათმცოდნეობის დარგში ცოდნის უწყვეტობას; მით დოქტორი იქნება ხელოვნებათმცოდნეობაში არსებული ცოდნის და გამოცდილების მატარებელი და შემნახველი.
• ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი გაიაზრებს თუ როგორ თავსდება მისი სამეცნიერო კვლევების სფერო საერთო ინტელექტუალურ სივრცეში; ეცოდინება როგორ ითანამშრომლოს მონათესავე დარგების სპეციალისტებთან ინტერდისციპლინარული კვლევის დროს.
• დოქტორმა უნდა შესძლოს მომავალი თაობების აღზრდა: დოქტორს ექნება ცოდნის ტრანსფორმირების უნარი. მას უნდა შეეძლოს მასალის გასაგები ფორმით პრეზენტირება, ცოდნის გადაცემა, სწავლება. მას უნდა შეეძლოს ცოდნის მიწოდება ყველა დაინტერესებული პირისათვის: ნებისმიერ დონეზე (პროფესიული წრე, ფართო საზოგადოება).

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ზოგადი კომპეტენციები:

ა) ცოდნა

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევები, კვალიფიკაცია და კომპეტენცია,რაც მას შესაძლებლობას აძლევს დამოუკიდებლად წარმართოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო, გაუძღვეს სალექციო კურსებს არჩეული სპეციალობით და ფართო ასპექტით. პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ფართო და ღრმა განათლება, პროფესიული ცოდნა მსოფლიო და სამამულო ხელოვნების მასშტაბით; აქვს უნარი პრაქტიკაში დანერგოს მიღებული ცოდნა, კრიტიკული ანალიზის, პრობლემისადმი მიდგომის კვლევითი მეთოდოლოგიის, სამეცნიერო ინფორმაციების დამუშავება-ანალიზის უნარ-ჩვევები; პუბლიკაციების გავრცელებისა და სწავლების პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

- დოქტორანტს გააჩნია ხელოვნებათმცოდნეობის დარგის ისტორიის მაღალკვალიფიციური ცოდნა, მსოფლიო ხელოვნებაში არსებული გამოცდილების,მეთოდოლოგიის პრინციპების ფართო და ღრმა ცოდნა.
- დოქტორანტს აქვს ფართო და ღრმა ცოდნა დარგის სპეციფიკაზე; ფლობს მისი შეფასების კრიტერიუმთა თავისებურებებზე ცოდნას; აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას მიღებული ცოდნის განვრცობაზე სწორად შერჩეულ მეთოდიკაზე დაყრდნობით.
- დოქტორანტი აცნობიერებს მხატვრული შემოქმედების თავისებურებათა წარმოჩენის მნიშვნელობას ისტორიული და თანამედროვე შემოქმედების ასპექტთა კომპლექსური კვლევისათვის, რაც უკავშირდება კულტურის პოპულარიზაცია-განვითარებას.

- ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს ღრმა ცოდნა აქვს დარგში არსებულ თეორიულ და კვლევით მეთოდოლოგიაზე; ფლობს ძირითად და უახლოეს თეორიულ კონცეფციებს; შეუძლია ახალი სამეცნიერო-ტერმინოლოგიით ოპერირება,რაც საშუალებას აძლევს საერთაშორისო სტანდარტებით და ახლებური ხედვით გადააფასოს არსებული ცოდნის ნაწილი; შეუძლია ახლებური კვლევა-ანალიტიკური მიდგომის შემუშავება,რომელიც ახალ ცოდნაზეა ორიენტირებული;აცნობიერებს კვლევის ობიექტის ადგილს თანამედროვე ცოდნის სისტემაში და მის კავშირს სხვა ჰუმანიტარული დარგის მეცნიერებებთან.
- კურსდამთავრებულს უნარი შესწევს სამეცნიერო ტექსტების შექმნის,თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტებით გაფორმების და აკადემიურად არგუმენტირების; ფლობს საგანმანათლებლო ტექნოლოგიებით სწავლების პროცესის წარმართვის უნარს;უმაღლეს სასწავლებელში სწავლების მეთოდოლოგიურ საფუძვლებს; აცნობიერებს მის მიზნებსა და შედეგებს.

ბ) უნარი:

- დოქტორანტს შეუძლია მაღალკვალიფიციური კვლევების ჩატარება მსოფლიო და ქართული ხელოვნების ძირითადი ტენდენცია-მიმართულებების გაანალიზების საფუძველზე, რითაც ქმნის ახალ ცოდნას დარგში;
- ხელოვნების ისტორიის სფეროში თანამედროვე სტანდარტის სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება;
- უნარი შესწევს უხელმძღვანელოს, ან მონაწილეობა მიიღოს სამუზეუმო ტურიზმის დაგეგმარებაში; მედია-პროექტების,საგამოფენო-საექსპოზიციო, სხვადასხვა ხასიათის პრეზენტაციების ორგანიზება-განხორციელებაში.
- ხელოვნებათმცოდნეობის მეთოდოლოგიასთან ერთად, დოქტორანტი შეძენილ ცოდნას გამოიყენებს სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად წარმართვისათვის შესაბამისი მეთოდიკის ფლობის საფუძველზე.
- დოქტორანტს შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავების დასახვა, ახალი კვლევით-ანალიტიკური მიდგომები, რომელიც ახალი ცოდნის ფორმირებაზეა ორიენტირებული; შექმნას მაღალი სამეცნიერო ღირებულებების პროდუქცის პუბლიკაციები და წარმატებით დანერგოს პრაქტიკულ საქმიანობაში სამეცნიერო დაწესებულებებსა და უნივერსიტეტებში მოღვაწეობისას.
- დოქტორანტს უნარი შესწევს განახორციელოს სამეცნიერო ოპერირება და წარმატებული თანამშრომლობა მომიჯნავე დარგების სამეცნიერო წრეებთან.
- კურსდამთავრებულს შეუძლია კვალიფიციურად მოამზადოს ხელოვნებათმცოდნეობის დარგის სასწავლო-მეთოდური მასალები; სამეცნიერო კვლევების შეფასება და კვლევის შედეგების სხვადასხვა სახის აუდიტორიასთან წარმატებით წარმოჩენა, სამეცნიერო პროექტების შემუშავება-დახვეწა.

- დოქტორანტს გააჩნია სწავლების თანამედროვე სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვის უნარ-ჩვევები; კულტურულ-აღმზრდელობითი და სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამა-პროექტების რეალიზაციის უნარი.
- შეუძლია ხელოვნების ისტორიის სფეროში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება; მას შეუძლია შეარჩიოს პრობლემის გადაჭრის შესაფერისი მეთოდი/მეთოდები და ასევე,საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებლად შეიმუშაოს ახალი მეთოდოლოგია; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
- საგანმანათლებლო პროგრამადამთავრებულს უნარი შესწევს დარგში კონკრეტული საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტის პროცესში ანალიზისა და შეფასების საფუძველზე გამოიტანოს პროფესიული დასკვნები
- დოქტორანტს შეუძლია დარგობრივი პრობლემის გადაწყვეტის საქმეში დამოუკიდებლად გამონახოს ეფექტური და ობიექტური მიდგომის გზები; მას აქვს წინააღმდეგობრივი ისტორიული თუ ახალი იდეების კრიტიკული ანალიზის,სინთეზისა და შეფასების უნარი.
- ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის უნარი
- საერთაშორისო და რეგიონალურ სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვის უნარი მშობლიურ და უცხო ენაზე.
- დამოუკიდებლად სამეცნიერო მუშაობის,პროექტების შემუშავებისა და მართვის უნარ-ჩვევები.
- სამეცნიერო,კულტურის დარგების წარმომადგენელთა ინტერესების გათვალისწინებით ხელოვნებათმცოდნეობაში საგამოფენო და საგანმანათლებლო პროექტების შემუშავების უნარი.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

პროგრამით გათვალისწინებული მიღებული ცოდნის საფუძველზე, ახალი იდეების, სამეცნიერო მიღწევების, გამოყენების შესაძლებლობები სწავლება-კვლევების პროცესში. ხელოვნების ისტორიის სფეროში, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.

შეუძლია ზნეობრივი და პროფესიული, სამეცნიერო ღირებულებებისადმი თავისი და კოლეგების დამოკიდებულებების ობიექტური შეფასება. კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ღირებულების საზოგადოებაში დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი

წვლილის შეტანა. კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ღირებულების, დამკვიდრების გზების კვლევა და დამკვიდრების ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის, მიღწეული პროგრესის შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს მისი სწავლის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

მოდულის/სასწავლო კურსის ფარგლებში შეფასების სტრუქტურა იყოფა ისეთ ორ ელემენტად, როგორიცაა შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება. თითოეულს შეფასების სისტემაში აქვს თავისი პროცენტული წილი.

შეფასების შუალედური ელემენტი შეიძლება დაიყოს(აქტიურობა, შუალედური გამოცდა, რეფერატის პრეზენტაცია, პრაქტიკული სამუშაოები, რეცენზია სხვა (მ.შ. სხვა დოქტორანტის) ნაშრომზე და ა.შ.) კომპონენტებად, რომლებსაც აგრეთვე თავისი პროცენტული წილი აქვთ ამ ელემენტის ფარგლებში. შესაბამისი პროცენტული წილის გათვალისწინებით, ყოველი კონკრეტული შეფასება ეყრდნობა ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს.

როგორც შუალედური შეფასების, ასევე დასკვნითი გამოცდის (წერითი, ზეპირი) ფორმატი, კვლევითი ნაშრომის შესრულება, კვლევითი ნაშრომის პრეზენტაცია შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი, განსაზღვრულია სასწავლო კურსის წამყვანი პერსონალის მიერ, სასწავლო კურსით (სილაბუსით).

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) რანჟირების სკალის შესაბამისად, სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით (სილაბუსით) დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება დადგენილი შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი შეფასების საფუძველზე შეფასება. სტუდენტის ცოდნის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დასკვნითი გამოცდა არ ფასდება 40 ქულაზე მეტით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 30 ქულა.

სტუდენტის ცოდნის დონის განსაზღვრისათვის დაშვებულია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ სადოქტორო პროგრამა ითვლება დასრულებულად, თუ მან მოაგროვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და უნივერსიტეტში დადგენილი წესით, წარმატებით დაიცვა სადისერტაციონაშრომი.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება შემდეგი პრინციპით:

1. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.

2. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

სასწავლო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები დაწვრილებით გაწერილია კურსების სილაბუსებში,

ხოლო სამეცნიერო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები გაწერილია სილაბუსებში და დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში.(საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება, მუხ:8,9,10,15,16,17,18.19,20)

დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია **ასისტენტობა** გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში.

პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს შემდეგს: სამუშაო ჯგუფის,ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკუმების ჩატარება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება; სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება; საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; ტუტორობა, ასისტენტირება სამეცნიერო მუშაობაში და სხვა.

დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე.

დოქტორანტის სასწავლო საქმიანობაში ჩართვისას კრედიტების მინიჭება ხდება სტუდენტებთან საკონტაქტო საათების დაანგარიშების საფუძველზე.

ასისტენტობის დროს (5კრედიტი) დოქტორანტი კვლევით და/ან პედაგოგიურ ასისტირებას უწევს საკუთარ სამეცნიერო ხელმძღვანელს და/ან ჩართულია უნივერსიტეტის სასწავლო და/ან კვლევითსაქმიანობაში.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში **საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარება (5კრედიტი)** ემსახურება სწავლა-სწავლების და კვლევითი პროცესების ინტეგრირებას, რომლის მიზანია აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ პრაქტიკასთან; ჩართვა იმ პროცესებში, რომლებიც პრაქტიკული უნარების განვითარების გზით ხელს უწყობს დოქტორანტის კარიერის შექმნას.

დასაქმების სფეროები

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტს შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს უმაღლეს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, სპეციალიზირებულ კოლეჯებში, მუზეუმებში, საგამოფენო, საარქივო, ტურისტულ ორგანიზაციებში, მედია-სივრცეში. ექსპერტის სტატუსით დასაშვებია დასაქმდეს სახელმწიფო და არასამთავრობო, კერძო სტრუქტურებში, მას შეუძლია იმუშაოს თავისუფალი მკვლევარის სტატუსით.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვლიფიკაციის აკადემიური და მოწვეული პერსონალით, პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები, დარგის წამყვანი მეცნიერ თანამშრომლები და საჭიროების შემთხვევაში ასევე უცხოეთის უნივერსიტეტების შესაბამისი დარგობრივი დეპატამენტების პროფესორები.

აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ სპეციალისტებთან (პედაგოგებთან) შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

<u>**პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი:**</u>

ნინო ქავთარია, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, **საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი**

ელენე კავლელაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, **საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი -გარდაიცვალა**

ნანი ბურჭულაძე , ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, **საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი**

ნინო ხუნდაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, **საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

ქეთევან პავლიაშვილი,ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

ირმა მათიაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

<u>პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალი:</u>

გიორგი მარსაგიშვილი, ხელოვნებთმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი

ნატო გენგიური, ხელოვნებთმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობისუნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი.

ავთანდილ ასათიანი, პედაგოგიკის დოქტორი,საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობისუნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი.

<u>პროგრამაში ჩართული უცხოელი სპეციალისტები,</u> რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, გაწევენ კონსულტანტობას/თანახელმძღვანელობას:

აპოსტილის მანდასი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,იონინის უნივერსიტეტის პროფესორი ბიზანტიის ხელოვნების მიმათულებით.

გუნტრამ კოხი,ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,მარბურგის უნივერსიტეტის ქრისტიანული არქეოლოგიის და ბიზანტინოლოგიის ინსტიტუტი, პროფესორ- ემერიტუსი

ანა ზახაროვა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, მოსკოვის ლომონოსოვის უნივესიტეტის ხელოვნების ისტორიის კათედრის დოცენტი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში, სადაც დოქტორანტი უზრუნველყოფილია სალექციო აუდიტორიებით, კაბინეტ-ლაბორატორიებით, საილუსტრაციო ტექნიკით, კომპიუტერული ბაზით, ინტერნეტით და მდიდარი წიგნადი ფონდით, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სხვადასხვა ორგნიზაციები - მუზეუმები,არქივ-საცავები, ბიბლიოთეკები, უნივერისტეტები და კვლევითი ინსტიტუტები წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე - შესაძლებლობას მისცემენ დოქტორანტს კვლევის პროცესში მათი ბაზაც გამოიყენოს.

სადოქტორო პროგრამის გეგმა სემესტრების მიხედვით

№	შემოდგომის სემესტრი	ECTS	№	გაზაფხულის სემესტრი	ECTS
1	ა) სპეციალური სემინარი - ქართული არქიტექტურა შუა საუკუნეებში - ქრისტიანული აღმოსავლეთის ნაწილი. ბ) სპეციალური სემინარი - ბიზანტიური და ქართული მხატვრობის შედარებითი ანალიზი	5 5	1	სპეციალური სემინარი- შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა	5
2	მეცნიერული კვლევების მეთოდოლოგია	5	2	ხელოვნების ისტორიის შესწავლის მეთოდები	5
3	სწავლების და შეფასების სტრატეგიები	5	3	არჩევითი კურსი	5

4	არჩევითი კურსი	5	4	**დისერტაციის კვლევის პროექტი** (Iკოლოქვიუმზე წარდგენა)	-
5	**საკვლევი თემის შესაბამისი ლიტერატურის მოძიება-დამუშავება**	-			
სასწავლო კრედიტები სულ		**25**	**სასწავლო კრედიტები სულ**		**15**
№	შემოდგომის სემესტრი	ECTS	№	გაზაფხულის სემესტრი	ECTS
1	პროფესორის ასისტენტირება	5	1	**საკონფერენციო მოხსენების მომზადება**	-
2	საჩვენებელილექციის მომზადება-ჩატარება	5	2	**წლიური ნაშრომი** **(IIკოლოქვიუმზე წარდგენა)**	-
3	სამეცნიერო საკვლევ თემაზე		3		

	მუშაობა I სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება	-	4		
სასწავლო კრედიტები სულ		**10**			
№	შემოდგომის სემესტრი	ECTS	№	გაზაფხულის სემესტრი	ECTS
1 2	სამეცნიერო საკვლევ თემაზე მუშაობა (III კოლოქვიუმზე წარდგენა) IIპუბლიკაციის მომზადება/საკონფრენციო თემის მომზადება		1	IIIპუბლიკაციის მომზადება სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო სახეზე მუშაობა და დაცვა	
სასწავლო კრედიტები სულ		**50**	**სამეცნიერო კრედიტები სულ**		**130**

შემოდგომა-გაზაფხულის სემესტრი

სასწავლო – 40კრედიტი:

სპეციალური სემინარი (1/2)	10
სპეციალური სემინარი	5
მეცნიერული კვლევების მეთოდოლოგია	5
ხელოვნების ისტორიის კვლევის მეთოდები	5
სწავლების და შეფასების სტრატეგიები	5
არჩევითი კურსები	10
სულ	**40**

სამეცნიერო მუშაობის გეგმა:

საკვლევი თემის შესაბამისი ლიტერატურის მოძიება, დამუშავება 20-25გვ.
დისერტაციის პროექტი 15-20გვ.(I კოლოქვიუმზე წარდგენა)

შემოდგომა-გაზაფხულის სემესტრი

სასწავლო – 10 კრედიტი:

პროფესორის ასისტენტირება	5
საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარება	5
სულ	10

სამეცნიერო მუშაობის გეგმა:

სამეცნიერო საკვლევ თემაზე მუშაობა
I სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება 12-15გვ.
საკონფრენციო მოხსენების მომზადება 7-10გვ.
წლიური ნაშრომი 40-60გვ. (II კოლოქვიუმზე წარდგენა)

შემოდგომა-გაზაფხულის სემესტრი

სამეცნიერო მუშაობის გეგმა:

სამეცნიერო საკვლევ თემაზე მუშაობა 40-60გვ (III კოლოქვიუმზე წარდგენა)

II პუბლიკაციის მომზადება/საკონფრენციო თემის მომზადება	10-15გვ.
III პუბლიკაციის მომზადება	10-15გვ
სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო სახეზე მუშაობა და დაცვა	160-200 გვ.

	კურსის დასახელება	სავ.	კოდი		დატვირთვის მოცულობა	სემესტრი	დამოკიდებულებ ობა

		არჩ		კრედ	საკონტაქ.	დამოუკიდ		I	II	III	IV	V	VI		
1	2	3	4	5	6	7		8	9	10	11	12	13		14
1	სასწავლო კომპონენტები														
I.1	მეცნიერული კვლევების მეთოდოლოგია	სავ	D001	5	51	74		5							არა
I.2	სწავლების და შეფასების სტრატეგიები	სავ	D004	5	51	74		5							არა
I.3	ხელოვნების ისტორიის კვლევის მეთოდები	სავ	D0213.1.5.04	5	51	74			5						არა
I.4	ბიზანტიური და ქართული მხატვრობის შედარებითი ანალიზი	სავ	D0213.1.5.01	5	54	71		5							არა
I.5	შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა	სავ	D0213.1.5.03	5	54	71			5						არა
I.6	ქართული არქიტექტურა შუა საუკუნეებში - ქრისტიანული აღმოსავლეთის ნაწილი.	სავ	D0213.1.5.02	5	54	71		5							არა
I.7			D006	5						5					D001, D004 D0213.1.5.01 D0213.1.5.02

	პროფესორის ასისტენტირება	**სავ**													**D0213.1.5.03** **D0213.1.5.04**
1.8	**საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარება**	**სავ**	**D005**	**5**						5					D001, D004 **D0213.1.5.01** **D0213.1.5.02** **D0213.1.5.03** **D0213.1.5.04**
	არჩევითი კურსები	**არჩ**						5	5						
სულ			**50**					**25**	**15**	**10**					
2	**კვლევითი კომპონენტი**														
	საკვლევი თემის შესაბამისი ლიტერატურის მოძიება-დამუშავება	**სავ**					+								
	დისერტაციის პროექტი(Iკოლოქვიუმზე წარდგენა	**სავ**						+							
	სამეცნიერო საკვლევ თემაზე მუშაობა, I სამეცნიერო პუბლიკაციისმომზადება	**სავ**							+						

	საკონფრენციო მოხსენების მომზადება. წლიური ნაშრომი (IIკოლოქვიუმზე წარდგენა)	სავ								+				
	სამეცნიერო საკვლევ თემაზე მუშაობა (III კოლოქვიუმზე წარდგენა) IIპუბლიკაციის მომზადება/საკონფრენციო თემის მომზადება	სავ									+			
	IIIპუბლიკაციის მომზადება სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო სახეზე მუშაობა და დაცვა	სავ										+		
სულ			130											
ჯამი			180											

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგი1	პროგრამის სწავლის შედეგი2	პროგრამის სწავლის შედეგი3	პროგრამის სწავლის შედეგი4	პროგრამის სწავლის შედეგი 5	პროგრამის სწავლის შედეგი6	პროგრამის სწავლის შედეგი7
ა)ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში მოამზადოს, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი, მაღალკვალიფიციური ხელოვნებათმცოდნე-მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებელად სამეცნიერო კვლევების ჩატარებას და სწავლებას უმაღლეს სასწავლებლებში.	\		\				\
ბ) **შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების სფეროში**, ქართული მასალის საფუძველზე პრობლემური, შეუსწავლელი საკითხების წამოწევა და კვლევა. განსაკუთრებული აქცენტი - <u>შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების კონკრეტული დარგების - ხელნაწერი წიგნის მხატვრობის, ქართული ორქომჭედლობის სფეროში.</u>		\				\	
გ) მოამზადოს ხელოვნებათმცოდნე (ხელოვნების ისტორიკოსი), რომელიც საფუძვლიანად ფლობს ხელოვნების ისტორიის დარგში დაგროვილ ცოდნასა და კვლევის მეთოდებს; რომელსაც ექნება უნარი დამოუკიდებლად ჩაატაროს კვლევა, ღრმად გაიაზროს, კრიტიკულად მიუდგეს არსებულ იდეებს, გაანალიზოს ახალი მასალა,		\		\	\	\	

გამოიტანოს ლოგიკური, დასაბუთებული დასკვნები და ხელოვნების ისტორიის სფეროში შექმნას ახალი ცოდნა, რომელსაც ექნება არა მხოლოდ ლოკალური, ადგილობრივი მნიშვნელობა, არამედ თავის წვლილს შეიტანს ხელოვნებათმცოდნეობით მეცნიერებების განვითარებაში.							
პროფესიული, სამეცნიერო ღირებულებებისადმი თავისი და კოლეგების დამოკიდებულებების ობიექტური შეფასება. კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ღირებულების საზოგადოებაში დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა. ხელოვნების ძეგლების, როგორც ღირებულების, დამკვიდრების მეთოდების შემუშავება.		\	\			\	

	სწავლის შედეგების დახასიათება	
პროგრამის სწავლის შედეგი1	დოქტორს ექნება უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული საფუძვლიანი, ღრმა და სისტემური ცოდნა ხელოვნების ისტორიაში, სამომავლო საკვლევი პრობლემატიკის გლობალური ხედვა; ასევე ხელოვნებაში მიმდინარე ისტორიული პროცესების კვლევისა და გაანალიზების უნარი, რის შედეგადაც ის ღრმად გააცნობიერებს ხელოვნების არსს, კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას და შეძლებს მოძებნოს სათანადო გზები და მეთოდები ცოდნის გადასაცემად.	
პროგრამის	დოქტორი შეძლებს ქართული ხელოვნების გააზრებას მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში,	

სწავლის შედეგი2	კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის არსში ჩაწვდომას, კავშირების დადგენას სხვადასხვა ხალხთა ხელოვნებათა შორის. მათ განხილვას, საერთო ისტორიული და კულტურული მიმართებით, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს ინტერდისციპლინალურ ანალიზს. ხელოვნების თეორიისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდების ფლობა საშუალებას მისცემს მას იმუშაოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე; ის არჩევს მეთოდოლოგიას და ახდენს შეუსწავლელი ხელოვნების ნაწარმოების დათარიღებას, მხატვრული და ისტორიული ადგილის განსაზღვრას, შეფასებას.	
პროგრამის სწავლის შედეგი3	დოქტორი შეძლებს გამოიყენოს ცოდნა პრაქტიკაში: ერთი მხრივ, გადასცეს ცოდნა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში სვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე მყოფ სტუდენტებს. მეორე მხრივ, სამეცნიერო-კვლევით სფეროში საქმიანობისას ანალიტიკურად მიუდგეს პრობლემას, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს კვლევითი პროექტი, ასევე ზედამხედველობა გაუწიოს კვლევის მსვლელობას; აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით მას შეეძლება შექმნას ახალი ცოდნა, რაც აისახება მის სამეცნიერო პუბლიკაციებში.	
პროგრამის სწავლის შედეგი4	დოქტორს შეეძლება განახორციელოს ცალკე აღებული ხელოვნების ძეგლის (ხუროთმოძღვრული, ქვაზე კვეთილობის, ლითონმქანდაკებლობის, კედლის მხატვრობის, მინატურის ნიმუშების) ან ძეგლთა ჯგუფის მრავალმხრივი შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში არგუმენტირებული დათარიღება, საერთო ისტორიულ კონტექსტში განხილვა და ხელოვნების ისტორიაში ადგილის მიჩენა. მას შეუძლია განახორციელოს სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ან სამუზეუმო კოლექციის კვალიფიციური ექსპერტიზა. მას ექნება არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი მაშინაც კი, თუ მონაცემები რთული, არასრული და წინააღმდეგობრივია. ამ პროცესში ის შეძლებს გამოიყენოს ახალი მიდგომები, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსები და დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება.	
პროგრამის სწავლის შედეგი5	ხელოვნების ისტორიისა და მისი კონკრეტული სფეროს საფუძლიანი ცოდნა და კვლევის უნარი საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს შეაფასოს და გააკრიტიკოს არსებული ინფორმაცია, ასევე, დაიცვას მოპოვებული ცოდნა, ლოგიკურად დაასაბუთოს დასკვნები.	

	ყოველივე მოგვცემს სპეციალისტს, რომელსაც ექნება კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისა და სამომავლო პროექტების განვითარებას უნარი, შეეძლება ხელოვნების ისტორიის სფეროში არსებული ცოდნა და ძირითადი იდეები საფუძვლიანად გაიაზროს და გაითავისოს, ამით ჩვენ შევინარჩუნებთ ხელოვნებათმცოდნეობის დარგში ცოდნის უწყვეტობას; ამით დოქტორი იქნება ხელოვნებათმცოდნეობაში არსებული ცოდნის და გამოცდილების მატარებელი და შემნახველი.	
პროგრამის სწავლის შედეგი6	პროგრამით გათვალისწინებული მიღებული ცოდნის საფუძველზე, ახალი იდეების, სამეცნიერო მღწევების, გამოყენების შესაძლებლობები სწავლება-კვლევების პროცესში.	
პროგრამის სწავლის შედეგი7	დოქტორს შეუძლია მომავალი თაობების აღზრდა: მას ექნება ცოდნის ტრანსფორმირების უნარი. შეეძლება მასალის გასაგები ფორმით პრეზენტირება, ცოდნის გადაცემა, სწავლება, ცოდნის მიწოდება ყველა დაინტერესებული პირისათვის: ნებისმიერ დონეზე (პროფესიული წრე, ფართო საზოგადოება)შეუძლია ზნეობრივი და პროფესიული, სამეცნიერო ღირებულებებისადმი თავისი და კოლეგების დამოკიდებულებების ობიექტური შეფასება.	

კურიკულუმის სწავლის შედეგების რუკა

და სამიზნე ნიშნულები

აღნიშვნები: 2- ცოდნისა და უნარის გაღრმავება, 3- ცოდნსა და უნარის განმტკიცება

სასწავლო კურსი	პროგრამის სწავლის შედეგი1	პროგრამის სწავლის შედეგი2	პროგრამის სწავლის შედეგი3	პროგრამის სწავლის შედეგი4	პროგრამის სწავლის შედეგი 5	პროგრამის სწავლის შედეგი 6	პროგრამის სწავლის შედეგი 7

ქართული არქიტექტურა შუა საუკუნეებში - ქრისტიანული აღმოსავლეთის ნაწილი.	2				2	2	2
ბიზანტიური და ქართული მხატვრობის შედარებითი ანალიზი	2			2	2	2	2
შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა	2			2	2	2	2
ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრობა	2			2	2	2	
მეცნიერული კვლევების მეთოდოლოგია		2					
სწავლების და შეფასების სტრატეგიები			2				
ხელოვნების ისტორიის შესწავლის მეთოდები		2					
პროფესორის ასისტირება			3				3
საჩვენებელი ლექციის							

მომზადება -ჩატარება			3				3
ძეგლის ადგილზე შესწავლა-კვლევის პრაქტიკა - წინაქრისტიანული ხანისა და შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება			2	2		2	
სიმბოლოს მნიშვნელობა ქრისტიანულ ხელოვნებაში და მისი წინაქრისტიანული ტრადიციები			2		2	2	
ხელოვნების ისტორიის ძირითადი ეტაპები და თეორიები		2					
სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი, მ.შ. დისერტაცია	3	3	3	3	3	3	3

	სწავლის შედეგების დახასიათება	**სამიზნე ნიშნულები**

პროგრამის სწავლის შედეგი1	დოქტორს ექნება უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული საფუძვლიანი, ღრმა და სისტემური ცოდნა ხელოვნების ისტორიაში, სამომავლო საკვლევი პრობლემატიკის გლობალური ხედვა; ასევე ხელოვნებაში მიმდინარე ისტორიული პროცესების კვლევისა და გაანალიზების უნარი, რის შედეგადაც ის ღრმად გააცნობიერებს ხელოვნების არსს, კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას და შეძლებს მოძებნოს სათანადო გზები და მეთოდები ცოდნის გადასაცემად.	სპეციალურ დარგობრივ სემინარებსა და არჩევით კურსებში მინიმუმ 71 ქულას მიიღებს დოქტრანტების 80%
პროგრამის სწავლის შედეგი2	დოქტორი შეძლებს ქართული ხელოვნების გააზრებას მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში, კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის არსში ჩაწვდომას, კავშირების დადგენას სხვადასხვა ხალხთა ხელოვნებათა შორის. მათ განხილვას, საერთო ისტორიული და კულტურული მიმართებით, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს ინტერდისციპლინალურ ანალიზს. ხელოვნების თეორიისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდების ფლობა საშუალებას მისცემს მას იმუშაოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე; ის არჩევს მეთოდოლოგიას და ახდენს შეუსწავლელი ხელოვნების ნაწარმოების დათარიღებას, მხატვრული და ისტორიული ადგილის განსაზღვრას, შეფასებას.	სავალდებულო კურსებში მინიმუმ 71 ქულას მიიღებს დოქტრანტების 80%
პროგრამის სწავლის შედეგი3	დოქტორი შეძლებს გამოიყენოს ცოდნა პრაქტიკაში: ერთი მხრივ, გადასცეს ცოდნა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში სვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე მყოფ სტუდენტებს. მეორე მხრივ, სამეცნიერო-კვლევით სფეროში საქმიანობისას ანალიტიკურად მიუდგეს პრობლემას, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს კვლევითი პროექტი, ასევე ზედამხედველობა გაუწიოს კვლევის მსვლელობას; აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით მას შეეძლება შექმნას ახალი ცოდნა, რაც აისახება მის სამეცნიერო პუბლიკაციებში.	
პროგრამის სწავლის შედეგი4	დოქტორს შეეძლება განახორციელოს ცალკე აღებული ხელოვნების ძეგლის (ხუროთმოძღვრული, ქვაზე კვეთილობის, ლითონმქანდაკებლობის, კედლის მხატვრობის, მინატურის ნიმუშების) ან ძეგლთა ჯგუფის მრავალმხრივი შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში არგუმენტირებული დათარიღება, საერთო ისტორიულ კონტექსტში განხილვა და ხელოვნების ისტორიაში ადგილის მიჩენა. მას შეუძლია განახორციელოს სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ან სამუზეუმო კოლექციის კვალიფიციური ექსპერტიზა. მას ექნება არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი მაშინაც კი, თუ მონაცემები რთული, არასრული და წინააღმდეგობრივია. ამ პროცესში ის შეძლებს გამოიყენოს ახალი მიდგომები,	სადისერტაციო ნაშრომის პროექტს დოქტორანტების 80% დაიცავს მინიმუმ 71 ქულაზე

	საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსები და დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება.	
პროგრამის სწავლის შედეგი5	ხელოვნების ისტორიისა და მისი კონკრეტული სფეროს საფუძლიანი ცოდნა და კვლევის უნარი საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს შეაფასოს და გააკრიტიკოს არსებული ინფორმაცია, ასევე, დაიცვას მოპოვებული ცოდნა, ლოგიკურად დაასაბუთოს დასკვნები. ყოველივე მოგვცემს სპეციალისტს, რომელსაც ექნება კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისა და სამომავლო პროექტების განვითარებას უნარი, შეეძლება შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორიის სფეროში არსებული ცოდნა და ძირითადი იდეები საფუძვლიანად გაიაზროს და გაითავისოს, ამით ჩვენ შევინარჩუნებთ ხელოვნებათმცოდნეობის დარგში ცოდნის უწყვეტობას; ამით დოქტორი იქნება ხელოვნებათმცოდნეობაში არსებული ცოდნის და გამოცდილების მატარებელი და შემნახველი.	მინიმუმ ერთ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს დოქტრანტების 100%
პროგრამის სწავლის შედეგი 6	პროგრამით გათვალისწინებული მიღებული ცოდნის საფუძველზე, ახალი იდეების, სამეცნიერო მღწევების, გამოყენების შესაძლებლობები სწავლება-კვლევების პროცესში.	3 პუბლიკაციას რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში გამოაქვეყნებს დოქტრანტების 100%
პროგრამის სწავლის შედეგი7	დოქტორს შეუძლია მომავალი თაობების აღზრდა: მას ექნება ცოდნის ტრანსფორმირების უნარი. შეეძლება მასალის გასაგები ფორმით პრეზენტირება, ცოდნის გადაცემა, სწავლება, ცოდნის მიწოდება ყველა დაინტერესებული პირისათვის: ნებისმიერ დონეზე (პროფესიული წრე, ფართო საზოგადოება)შეუძლია ზნეობრივი და პროფესიული, სამეცნიერო ღირებულებებისადმი თავისი და კოლეგების დამოკიდებულებების ობიექტური შეფასება.	დოქტორანტების 80% დაიცავს სადისერტაციო ნაშრომს მინიმალური შეფასებით cum laude

სადოქტორო პროგრამის კრედიტების გადანაწილების პრინციპი

სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტს, რომელთაგან 50 გათვლილია სასწავლო ნაწილზე, ხოლო 130 კრედიტი - სამეცნიეროზე.

პროგრამის სემესტრული გეგმა ითვალსწინებს სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის საათების გააზრებულ გადანაწილებას: პირველი სემესტრები დატვირთულია სასწავლო საათებით და ხოლო ყოველ მომდევნო სემესტრში მატულობს სამეცნიერო მუშაობის წილი. სასწავლო კრედიტების ათვისება სრულდება 3 სემესტრში და დარჩენილი 3 სემესტრი სრულიად ეთმობა სამეცნიერო მუშაობას.

წინამდებარე პროგრამის **სამეცნიერო მუშაობის** 130 კრედიტი დოქტორანტს, დისერტაციის დაცვის შემდგომ ეთვლება ათვისებულად და მთლიანობაში ენიჭება.

დოქტორანტი ვალდებულია სამეცნიერო ხელმძღვანელთან სისტემატურად იმუშაოს, ხოლო ყოველი სემესტრის ბოლოს შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია წერილობითი ფორმით ჩააბაროს ფაკულტეტის საბჭოს, ხოლო წელიწადში ერთხელ ფაკულტეტის საბჭოზე წარდგეს (კოლოქვიუმები). კოლოქვიუმების შესახებ ინფორმაცია გაწერილია დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში. ყველა სემესტრის ანგარიში, დოქტორანტისა და ხელმძღვანელის ხელმოწერილი, ინახება მის პირად საქმეში.

დისეტაციის თემის და სათაურის დასამტკიცებლად წარდგენა ხდება მე-2 სემესტრის ბოლოს, მას შემდეგ, რაც დოქტორანტის კვლევის პროექტი წარდგენილი იქნება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და მისი გადაწყვეტილებით წარედგინება სადისერტაციო საბჭოს. (საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება, მუხ:15,16,17,19,20)

არჩევითი კურსების ნუსხა:

1. **ხელოვნების ისტორიის ძირითადი ეტაპები და თეორიები D13**- ნინო ხუნდაძე,საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

2. **ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრობა D11** - ნინო ქავთარია,საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი
3. **ძეგლის ადგილზე შესწავლა-კვლევის პრაქტიკა –წინაქრისტიანული ხანისა და შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება D14-** ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, გიორგი მარსაგიშვილი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი
4. **სიმბოლოს მნიშვნელობა ქრისტიანულ ხელოვნებაში და მისი წინაქრისტიანული ტრადიციები D12** - ირმა მათიაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)

სასწავლო კურსების სილაბუსები) თანერთვის (იხ. თანდართული CD-R)

პროგრამის მიხედვით სწავლების ხარისხის განვითარება და რეგულაციები

უნივერსიტეტში არსებობს QA სამსახურის მუშაობის საერთო ზოგადსაუნივერსიტეტო პრინციპი PDCA:

P –plan - დაგეგმვა; D – do- განხორციელება; C – check- შემოწმება; A – act- რეაგირება.

აღნიშნული ციკლი ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტთა თუ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთვრებულთა სისტემატიური გამოკითხვებისა და მათი ანალიზის საფუძველზე.

თამარ მეფის უნივერსიტეტის ხარისხის მართვის შიდა შეფასებისას, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის პრეროგატივაა შემდეგი პარამეტრების შეფასება:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

3. სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა

4. სასწავლო პროცესი

5. აკადემიური პერსონალი

6. ადმინისტრაციული პერსონალი და უმაღლესი საგანმანათლებლო სამსახურის ყველა სტრუქტურა, მათ შორის სტუდენტთა ხელშეწყობის სამსახური, ბიბლიოთეკა და ა.შ.

7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული გეგმის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისობა მის მისიასთან და სხვ.

უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფაკულტეტის მიერ ზოგადსაუნივერსიტეტოგამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებული შემდეგი სახის დოკუმენტაცია:საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდება (04.09.2017) შინაგანაწესი (05.09.2017 ბრძ.023/01) დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება (12.10.2017. უნივერსიტეტის სენატის სხდომის ოქმი 1)